საქართველოს შინაგან საქმეთა
სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო
დაწესებულება – საგანგებო
სიტუაციების მართვის სამსახური

MINISTRY OF INTERNAL AFFAIRS OF
GEORGIA SUBORDINATED STATE
ENTITY – EMERGENCY
MANAGEMENT SERVICE

MIA 4 20 00920448

24/04/2020

სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის
III-IV კლასის შენობა-ნაგებობების სანებართვო განყოფილების
პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელს
(განყოფილების უფროსი)
ქალბატონ **თეონა ახალაშვილს**

ქალბატონო თეონა,

თქვენი 2020 წლის 23 აპრილის N 60-0120114289 წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ განხილული იქნა ქალაქ თბილისში, სოფელი დიღომი, „ჩალიპირები“ არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ : 01.72.14.055.162) მრავალფუნქციური კომპლექსის/შენობის ასაშენებლად მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების შესახებ წარმოდგენილი საპროექტო დოკუმენტაცია.

წარმოდგენილი დოკუმენტების განხილვის შედეგად დადგინდა, რომ „მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობების ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ“ დამტკიცების თაობაზე საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის N255 დადგენილების შესაბამისად, მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები უნდა მოიცავდეს მიწის ნაკვეთის გეგმას, რომელზეც დატანილ უნდა იქნას:

1. ხანძარსაწინააღმდეგო მანძილები (დაცილება) საპროექტო შენობასა და მეზობლად მდებარე შენობა-ნაგებობებს შორის, მათი ხანძარსაშიში და ცეცხლმედეგობის ხარისხი და ფუნქციური დანიშნულება.

2. საპროექტო შენობასთან სახანძრო ავტომობილების მისასვლელი გზები და მისი პარამეტრები.

3. საპროექტო შენობის გარე ხანძრის ჩაქრობისათვის აუცილებელი წყალგაყვანილობის ქსელი.

მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების შესახებ შესაბამისი დასკვნის მომზადებისათვის აუცილებელია მშენებლობის სანებართვო პროცესის I სტადიის

საქართველო, 0114, თბილისი, ვ. გორგასლის ქ. №83ა
ტელ: (+995 032) 2 41 44 79
ელ. ფოსტა: cepgeorgia@mia.gov.ge

№83a, V. Gorgasali str. Tbilisi, 0114, Georgia
Tel: (+995 032 2 41 44 79
E-mail: cepgeorgia@mia.gov.ge

მოთხოვნებიდან გამომდინარე განხორციელდეს შესაბამისი ცვლილებების შეტანა სამშენებლო დოკუმენტაციაში და კორექტირებული პროექტი წარმოდგენილი იქნეს განსახილველად.

პატივისცემით,

სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება-საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური /
ზედამხედველობის დეპარტამენტი
დეპარტამენტის უფროსი
ვარშანიძე როინ

